



# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-31.31221191

თარიღი:29/04/2022

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება №15

2022 წლის 28 აპრილი

#### ქ. ლანჩხუთი

**სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი ვაჟა თოდუას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4<sup>1</sup> მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად,

**მუხლი 1.** გაიცეს თანხმობა, სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი ვაჟა თოდუას სახელის მინიჭების შესახებ.

**მუხლი 2.** საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

## მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

